

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი  
საქართველოს სპორტცეკვების ეროვნული ფედერაცია

ს ს ც ე ფ

ს/კ 202059477



**GEORGIAN NATIONAL DANCE SPORT FEDERATION**

G N D S F

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**შეჯიბრებების კატეგორიებისა  
და ათლეტთა დაყოფის შესახებ**

**ასაკობრივად და ოსტატობის  
კლასების მიხედვით**

დამტკიცებულია  
საქართველოს სპორტცეკვების  
ეროვნული ფედერაციის  
გამგეობის (პრეზიდიუმის) მიერ  
2014 წლის 12 აპრილს

## მუხლი 1. შეჯიბრებების კატეგორიები

1. საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სსცეფ-ს ეგიდით, მისი წევრების მიერ ჩასატარებელი შეჯიბრებები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

1. **“A” კატეგორიის შეჯიბრი** - ეს არის საერთაშორისო რეიტინგული შეჯიბრებები, ჩემპიონატები, პირველობები ან თასის გათამაშებები, რომლებიც ლიცენზირებულია WDSF-ის მიერ და რეგისტრირებულია შეჯიბრებების მსოფლიო კალენდარში;
2. **“B” კატეგორიის შეჯიბრი** - ეს არის საერთაშორისო რეიტინგული შეჯიბრებები, ჩემპიონატები, პირველობები ან თასის გათამაშებები, რომლებიც არ არის ლიცენზირებული WDSF-ის მიერ, მაგრამ მოწვეული მოცეკვავეები და მსაჯები არიან შესაბამისი ქვეყნის WDSF-ის წევრი ორგანიზაციის წარმომადგენლები;
3. **“C” კატეგორიის შეჯიბრი** - ეს არის რესპუბლიკური მასშტაბის რეიტინგული შეჯიბრებები, ჩემპიონატები, პირველობები ან თასის გათამაშებები, რომლებიც ლიცენზირებულია მხოლოდ სსცეფ-ს მიერ, რეგისტრირებულია ეროვნული ფედერაციის შეჯიბრებების ოფიციალურ კალენდარში და მასში მონაწილეობას ღებულობენ მხოლოდ სსცეფ-ს წევრები;
4. **“D” კატეგორიის შეჯიბრი** - ეს არის საქართველოს მასშტაბით - რეგიონალური რეიტინგული შეჯიბრებები, ჩემპიონატები, პირველობები ან თასის გათამაშებები, რომლებიც ლიცენზირებულია მხოლოდ სსცეფ-ს მიერ, რეგისტრირებულია ეროვნული ფედერაციის შეჯიბრებების ოფიციალურ კალენდარში და მასში მონაწილეობას ღებულობენ მხოლოდ იმ რეგიონის ათლეტები, სადაც ტარდება ეს შეჯიბრი; შეჯიბრს ემსახურებიან სსცეფ-ს მსაჯები;
5. **“E” კატეგორიის შეჯიბრი** - ეს არის - შიდა, საკლუბო (დახურული) რეიტინგული შეჯიბრებები ან თასის გათამაშებები, რომლებიც ლიცენზირებულია მხოლოდ სსცეფ-ს მიერ, რეგისტრირებულია ეროვნული ფედერაციის შეჯიბრებების ოფიციალურ კალენდარში და მასში მონაწილეობას ღებულობენ მხოლოდ იმ კლუბის ათლეტები, სადაც ტარდება ეს შეჯიბრი; შეჯიბრს ემსახურებიან სსცეფ-ს მსაჯები;

2. წინამდებარე დებულებას თან ერთვის 2 განაცხადის ფორმა:

1. **განაცხადი #07** - შეჯიბრის ჩატარების შესახებ, რომელიც ორგანიზატორმა უნდა შეეავსოს შეჯიბრის ჩატარებამდე 6 თვით ადრე და დასამტკიცებლად გადაუგზავნოს სსცეფ-ს სპორტ-დირექტორს;
2. **განაცხადი #08** - შეჯიბრის გაუქმების ან გადატანის შესახებ, რომელიც ორგანიზატორმა უნდა შეეავსოს შეჯიბრის გაუქმებამდე მინიმუმ 1 თვით ადრე და დასამტკიცებლად გადაუგზავნოს სსცეფ-ს სპორტ-დირექტორს;

3. სსცეფ-ს სპორტ-დირექტორი ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე წარადგენს ყველა განაცხადს, სადაც პრეზიდიუმი იმსჯელებს და მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც წერილობით ეცნობება ორგანიზატორს (განმცხადებელს);

4. შეჯიბრის გაუქმება (გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებისა) ჯარიმდება და ორგანიზატორი ვალდებულია სსცეფ-ს სასარგებლოდ მის საბანკო ანგარიშზე გადაარიცხოს ამ დებულების მე-2 მუხლში მითითებული ჯარიმა, გაუქმების შესახებ განაცხადის წარდგენიდან 1 თვის განმავლობაში; აღნიშნულ ჯარიმაზე ფედერაციის გენ. მდივანი გამოწერს ინვოისს;
5. თუკი შეჯიბრის გაუქმება მოხდება 3 თვით ადრე მისი ჩატარების თარიღიდან, ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორი არ იხდის ჯარიმას;
6. შეჯიბრის გაუქმების ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში - ორგანიზატორი მომავალში ვერ წარადგენს ახალ განაცხადს შეჯიბრის ჩატარების შესახებ;
7. A და B კატეგორიის შეჯიბრის გაუქმების შემთხვევაში - ორგანიზატორი ასევე ვალდებულია სრულად დაფაროს ის ხარჯები, რაც მოწვეულმა ათლეტებმა ან მსაჯებმა უკვე გადაიხადეს. ამ საკითხის კონტროლი დაევალება სსცეფ-ს ვიცე-პრეზიდენტს;
8. შეჯიბრის თარიღის გადატანა (3 თვიანი შუალედით) არ ექვემდებარება დაჯარიმებას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სსცეფ-ს ვიცე-პრეზიდენტი გადაამოწმებს ჰქონდათ თუ არა გაწეული რაიმე სახის ხარჯები მოწვეულ ათლეტებს ან მსაჯებს (A და B კატეგორიის შეჯიბრის შემთხვევაში);

## **მუხლი 2. ორგანიზატორების ფინანსური ვალდებულებები**

1. სსცეფ-ს წევრი, **ორგანიზატორი** - ვალდებულია შეჯიბრის ჩატარების შემდეგ 1 თვის ვადაში გადაიხადოს შეჯიბრის **ლიცენზირების გადასახადი**, რაზეც ის სსცეფ-ს გენერალური მდივნისგან მიიღებს შესაბამის ინვოისს.

### **შეჯიბრის ლიცენზირების გადასახადი**

გადახდა ხდება - საბანკო ანგარიშსწორებით

*(ეროვნულ ვალუტაში (ლარში) - გადასახადის დღეს არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით):*

1.	<b>“A” კატეგორიის შეჯიბრი</b>	<b>300 US\$;</b>
2.	<b>“B” კატეგორიის შეჯიბრი</b>	<b>250 US\$;</b>
3.	<b>“C” კატეგორიის შეჯიბრი</b>	<b>200 US\$;</b>
4.	<b>“D” კატეგორიის შეჯიბრი</b>	<b>100 US\$;</b>
5.	<b>“E” კატეგორიის შეჯიბრი</b>	<b>20 US\$;</b>

2. სსცეფ-ს წევრი, **ორგანიზატორი** - ვალდებულია შეჯიბრის გაუქმების შემთხვევაში, განაცხადის წარდგენიდან 1 თვის ვადაში გადაიხადოს შეჯიბრის **გაუქმების გადასახადი**, რაზეც ის სსცეფ-ს გენერალური მდივნისგან მიიღებს შესაბამის ინვოისს.

### **შეჯიბრის გაუქმების გადასახადი**

გადახდა ხდება - საბანკო ანგარიშსწორებით

*(ეროვნულ ვალუტაში (ლარში) - გადასახადის დღეს არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით):*

1.	<b>“A” კატეგორიის შეჯიბრი</b>	<b>800 US\$;</b>
2.	<b>“B” კატეგორიის შეჯიბრი</b>	<b>500 US\$;</b>
3.	<b>“C” კატეგორიის შეჯიბრი</b>	<b>400 US\$;</b>
4.	<b>“D” კატეგორიის შეჯიბრი</b>	<b>50 US\$;</b>
5.	<b>“E” კატეგორიის შეჯიბრი</b>	<b>10 US\$;</b>

### მუხლი 3. ათლეტთა დაყოფა ასაკობრივად და ოსტატობის კლასების მიხედვით

#### 1. ძირითადი მოცემულობები:

- ასაკობრივი კატეგორია;
- ოსტატობის კლასი და მისი შესაბამისი სპორტული წოდება ან თანრიგი;
- საკლასიფიკაციო ჯგუფი;
- საკლასიფიკაციო წიგნაკი;
- სსცეფ-ს ეგიდით შეჯიბრებები ტარდება მხოლოდ ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით - შესაძლოა სხვადასხვა ოსტატობის კლასის მქონე ათლეტებს შორის;

#### 2. ასაკობრივი კატეგორია:

WDSF-ის წესების შესაბამისად, სსცეფ-ში მიღებულია შემდეგი ასაკობრივი კატეგორიები:

№	ასაკობრივი კატეგორია
1.	ყმაწვილები I - Juvenile I - (9 წლამდე)
2.	ყმაწვილები II - Juvenile II - (10-11 წწ)
3.	მოზარდები I - Junior I – (12-13 წწ)
4.	მოზარდები II - Junior II – (14-15 წწ)
5.	ახალგაზრდები - Youth – (16-17-18 წწ)
6.	უფროსები - Adults – (19წ და ზევით)
7.	სენიორები I - Senior I - (35/30)
8.	სენიორები II - Senior II - (45/40)
9.	სოლო შემსრულებლები - Solo - (9 წლამდე)
10.	სოლო შემსრულებლები - Solo - (10-12 წწ)
11.	სოლო შემსრულებლები - Solo - (13 წწ და ზევით)
12.	გუნდები - Formation - (სხვადასხვა ასაკი)

3. ყველა კატეგორიის და რანგის შეჯიბრზე, ორგანიზატორები ვალდებული არიან გამოიყენონ ცხრილში მოცემული სახელწოდებები და შემოკლებები: ზეპირ განცხადებებში, წერილობით დოკუმენტებში, თუ სხვადასხვა ბეჭდვით პროდუქციაში.
4. ასაკობრივი კატეგორია, რომელშიც უნდა გამოვიდეს მოცეკვავე წყვილი მთელი კალენდარული წლის განმავლობაში განისაზღვრება, წყვილში ასაკობრივად უფროსი მოცეკვავის დაბადების წლის მიხედვით.

შეჯიბრის ჩატარების წელს, წყვილში ასაკით უფროს მოცეკვავს:

**ყმაწვილები I - Juvenile I** - არ უნდა უსრულდებოდეს 10 წელი;

**ყმაწვილები II - Juvenile II** - არ უნდა უსრულდებოდეს 12 წელი და უნდა იყოს 10 ან 11 წლის;

**მოზარდები I - Junior I** - არ უნდა უსრულდებოდეს 14 წელი და უნდა იყოს 12 ან 13 წლის;

**მოზარდები II - Junior II** - არ უნდა უსრულდებოდეს 16 წელი და უნდა იყოს 14 ან 15 წლის;

**ახალგაზრდები - Youth** - არ უნდა უსრულდებოდეს 19 წელი და უნდა იყოს 16 ან 17 ან 18 წლის;

**უფროსები - Adults** - უნდა უსრულდებოდეს 19 წლის და მეტი;

**სენიორები I - Senior I** - ასაკით უფროს პარტნიორს უნდა უსრულდებოდეს იყოს 35 წელი და მეტი, ხოლო ასაკით უმცროსს მინ. 30 წელი;

**სენიორები II - Senior** - ასაკით უფროს პარტნიორს უნდა უსრულდებოდეს იყოს 45 წელი და მეტი, ხოლო ასაკით უმცროსს მინ. 40 წელი;

5. ათლეტი ვალდებულია გამოვიდეს მხოლოდ თავის ასაკობრივ კატეგორიაში ან მასზე 1 საფეხურით მაღალ ასაკობრივ კატეგორიასი (მისი ოსტატობის კლასის გათვალისწინების გარეშე). ამ წესის დარღვევის გამო, ათლეტის, მისი მწვრთნელის და იმ შეჯიბრის ორგანიზატორის მიმართ, სადაც დაფიქსირდება ამ წესის დარღვევა, გატარდება შესაბამისი დისციპლინარული ღონისძიებები, რომლებსაც დაადგენს სსცეფ-ს პრეზიდიუმი.
6. **ოსტატობის კლასში** - იგულისხმება, ათლეტის ფიზიკური განვითარების, ფსიქოლოგიური და მუსიკალურ-ესთეტიური მომზადების დონე, რომელიც საშუალებას აძლევს მას შეასრულოს ტექნიკურად და ქორეოგრაფიულად განსაზღვრული სირთულის ფიგურები და ცეკვები, ვარჯიშის და შეჯიბრის პროცესის განმავლობაში, გამომდინარე მისი ასაკიდან.
7. კლასებს გააჩნიათ შემდეგი აღნიშვნები: "E", "D", "C", "B", "A", "S" და "M".
8. საწყისი და ყველაზე იოლი არის "E" კლასი, ხოლო უმაღლესი - "M" (Master) კლასი.
9. ოსტატობის კლასები შესაბამისობაში არიან სპორტულ თანრიგებთან:
  - I - სპორტის ოსტატობის კანდიდატი;
  - II - სპორტის ოსტატი;
  - III - საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი;
10. **საკლასიფიკაციო ჯგუფები** - გულისხმობს განსაზღვრულ ასაკობრივ კატეგორიაში დაშვებულ ოსტატობის კლასებს. საკლასიფიკაციო ჯგუფი განსაზღვრავს მაქსიმალურად დაშვებულ ოსტატობის უმაღლეს კლასს, ამა თუ იმ ასაკობრივ კატეგორიაში.

**11. სსცეფ-ში მიღებულია შემდეგი საკლასიფიკაციო ჯგუფები:**

№	ასაკობრივი კატეგორია	დაშვებული კლასები
1.	ყმაწვილები I - Juvenile I - (9 წლამდე)	"E", "D"
2.	ყმაწვილები II - Juvenile II - (10-11 წწ)	"E", "D",
3.	მოზარდები I - Junior I - (12-13 წწ)	"E", "D", "C"
4.	მოზარდები II - Junior II - (14-15 წწ)	"E", "D", "C", "B"
5.	ახალგაზრდები - Youth - (16-17-18 წწ)	"E", "D", "C", "B", "A"
6.	უფროსები - Adults - (19წ და ზევით)	"E", "D", "C", "B", "A", "S", "M"
7.	სენიორები I - Senior I - (35/30)	"E", "D", "C", "B", "A", "S", "M"
8.	სენიორები II - Senior II - (45/40)	"E", "D", "C", "B", "A", "S", "M"
9.	სოლო 2 ცეკვა - Solo	"E"
10.	სოლო 3 ცეკვა - Solo	"D"
11.	სოლო 4 ცეკვა - Solo	"C"
12.	სოლო 5 ცეკვა - Solo	"B"

**12. ათლეტის საკვალიფიკაციო წიგნაკი** - არის მისი ძირითადი დოკუმენტი და იგი უნდა შეიცავდეს ათლეტის შესახებ ყველა საჭირო მონაცემს: სარეგისტრაციო ნომერი, ათლეტის MIN # ანუ ID ბარათის #, ქალაქის ან რეგიონის მითითებით; რეგიონალური ორგანიზაციის დასახელება; საცეკვაო კლუბის დასახელება; სახელი და გვარი ლათინური ტრანსლიტერაციით, მოქალაქის საზღვარგარეთის პასპორტის მიხედვით; დაბადების დღე/თვე/წელი; მისი ოსტატობის კლასი, ჩანაწერები თანრიგების და წოდებების მინიჭების შესახებ; ჩანაწერები საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ; ჩანაწერები სპორტული დისკვალიფიკაციის შესახებ; მონაწილეობა სასწავლო შეკრებებზე, სემინარებზე და მასტერ კლასებზე; პარტნიორის სახელი და გვარი; იმ შეჯიბრის მონაცემები, სადაც გამოდიოდა ათლეტი, დაკავებული ადგილის და გამომუშავებული ქულების მითითებით;

**13. ყოველი ათლეტი ვალდებულია** - ყოველა შეჯიბრზე (საქართველოში და საზღვარგარეთ) დარეგისტრირდეს და წარმოადგინოს სსცეფ-ის პრეზიდენტის მიერ მიღებული და დამტკიცებული ერთიანი ნიმუშის საკლასიფიკაციო წიგნაკი და ასევე თან უნდა იქონიოს სსცეფ-ს ID ბარათი (ან WDSF-ის ID ბარათი - საერთაშორისო შეჯიბრებებზე). საკლასიფიკაციო წიგნაკის და სსცეფ-ს ID ბარათის წარდგენის გარეშე, ათლეტის რეგისტრაცია და შეჯიბრზე დაშვება არ მოხდება. გამონაკლისის დაშვების უფლება აქვს მხოლოდ მთავარ მსაჯს;

**14. ათლეტის საკლასიფიკაციო წიგნაკი** ფორმდება სსცეფ-ს რეგიონალური წევრი ორგანიზაციის მიერ, საცეკვაო-სპორტული კლუბის ხელმძღვანელის განცხადების საფუძველზე, სსცეფ-ს მოთხოვნათა შესაბამისად. რეგიონალური ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს მისი ყველა წევრი-ათლეტი საკლასიფიკაციო წიგნაკებით. დაადასტუროს ყველა ჩაწერილი მონაცემი თავისი ბეჭდით და პრეზიდენტისა და სპორტ-დირექტორის ხელმოწერით. წინასწარ შეადაროს ათლეტის მიერ წარმოდგენილი ყველა მონაცემი ათლეტის დაბადების მოწმობასთან ან პასპორტთან;

15. ყველა შეჯიბრზე, სადაც გამოდის ათლეტი, მის საკლასიფიკაციო წიგნაკში, აუცილებლად იწერება ინფორმაცია შეჯიბრის შესახებ, ათლეტის შედეგი და დაგროვილი ქულები. ამაზე პასუხისმგებელია თავად ათლეტი, მთავარი მსაჯი და ორგანიზატორი; ჩანაწერი დასტურდება ორგანიზატორის ბეჭედით და მთავარი მსაჯის ხელმოწერით;
16. **ქულები** - წყვილს ან სოლო შემსრულებელს ერიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შეჯიბრში მონაწილეობს სულ მცირე სამი კლუბის წარმომადგენელი;
17. საკლასიფიკაციო წიგნაკის გამოცვლის შემთხვევაში, წიგნაკში იწერება წყვილის მიერ უკვე დაგროვილი ქულები და ოსტატობის არსებული კლასი, რომლებიც უზრუნველყოფს შემდგომში ამ ათლეტის გადასვლას უფრო მაღალ კლასში;
18. ყველა რანგის შეჯიბრზე მთავარი მსაჯი ვალდებულია გააკონტროლოს, ათლეტის საკლასიფიკაციო წიგნაკში ამ შეჯიბრზე მიღებული რეზულტატების შეტანა ორგანიზატორის მიერ და ხელმოწერით დაადასტუროს შედეგი;

#### **მუხლი 4. ოსტატობის კლასის მინიჭების წესები**

1. ოსტატობის კლასი ენიჭება ათლეტს, სსცეფ-ს და მისი წევრების მიერ ჩატარებულ შეჯიბრებებზე მიღებული შედეგების მიხედვით;
2. ათლეტს რომელსაც არ აქვს გააჩნია კლასი, შეიძლება მიენიჭოს «E» კლასი, თუ მან გაიარა სწავლების საწყისი კურსი ექვსი (6) ცეკვის პროგრამით და მისი მწვრთნელის განცხადების საფუძველზე უკვე მიიღო საკლასიფიკაციო წიგნაკი;
3. D და C კლასების მინიჭება ხდება სსცეფ-ს სპორტ-დირექტორის მიერ, კლუბის ან რეგიონალური ფედერაციის ხელმძღვანელის წარდგინების შემდეგ და შესაბამის შეჯიბრებებზე დაგროვებული ქულების საფუძველზე;
4. თუ ათლეტმა, რომელსაც არ გააჩნია კლასი, გაიარა სწავლების კურსი 8 ცეკვით და მისი ასაკობრივი კატეგორიაა იუნიორი-2 და უფრო მაღლა, კლუბის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე შეიძლება მიენიჭოს «D» კლასი;
5. B, A, S და M კლასის მინიჭება ხდება მხოლოდ სსცეფ-ის პრეზიდენტის მიერ, შესაბამისი რეგიონალური ორგანიზაციის ან კლუბის წარდგინების საფუძველზე;
6. ქვემოთ მოცემულ ცხრილში # 1 მოცემულია ქულათა დათვლის ის სისტემა, რომლის მიხედვითაც ათლეტს (წყვილები) ერიცხება შესაბამისი ქულები, ხოლო ცხრილში #2 მოცემულია სისტემა, რომლის მიხედვითაც ერიცხებათ ქულები სოლო - Solo შემსრულებლებს, ცხრილში #3 კი მოცემულია სისტემა, რომლის მიხედვითაც ერიცხებათ ქულები გუნდებს (ანსამბლებს);

**ცხრილი #1**

შეჯიბრში მონაწილე წევილთა რაოდენობა												
	1-2	3-6	7-12	13-18	19-24	25-36	37-54	55-78	79-108	109-144	145-186	187 და მეტი
1.	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
2.			1	2	3	4	5	6	7	8	9	10
3.				1	2	3	4	5	6	7	8	9
4.					1	2	3	4	5	6	7	8
5.						1	2	3	4	5	6	7
6.							1	2	3	4	5	6
7.								1	2	3	4	5
8.									1	2	3	4
9.										1	2	3
10.											1	2
11.												1

**ცხრილი #2**

სოლო რაოდენობა / ადგილი	3-5	5-9	10-12	13-18	19-25	26-35	36-45	46
1	4	7	8	9	10	11	12	15
2	3	6	7	8	9	10	11	14
3	2	5	6	7	8	9	10	13
4	1	4	5	6	7	8	9	12
5	0.5	3	4	5	6	7	8	11
6	0	2	3	4	5	6	7	10
7	0	1	2	3	4	5	6	9
8	0	0.5	1.5	2.5	3.5	4	5	8
9	0	0	1	2	3	3.5	4.5	7
10	0	0	0.5	1.5	2.5	3	4	6
11	0	0	0	1	2	2.5	3.5	5
12	0	0	0	0.5	1.5	2	3	4



### ცხრილი #3

	ტურნირში მონაწილე გუნდთა რაოდენობა							
გუნდი	1	2	3	4	5	6	7	8
მონაწილე	1-2	3-6	7-12	13-18	19-24	25-36	37-54	55-78
1.	3	4	5	6	7	8	9	10
2.		3	4	5	6	7	8	9
3.			3	4	5	6	7	8
4.				3	4	5	6	7
5.					3	4	5	6
6.						3	4	5
7.							3	4
8.								3
9.								2

7. ქულათა დარიცხვა წყვილში ხდება - თითოეულ ათლეტზე ცალ-ცალკე, სოლო შემსრულებელზე ინდივიდუალურად; გუნდში (ანსამბლში) კი - თითოეულ ათლეტზე ცალკე, ოსტატობის კლასის და დაკავებული ადგილის მიხედვით.

8. იმისთვის რომ ათლეტი, რომელიც გამოდის წყვილში ან ანსამბლში, გადავიდეს B-დან A კლასში, ან A-დან S კლასში - მას ქულათა საერთო ჯამში უნდა ჰქონდეს არანაკლებ 4 ქულისა, რომელიც დაგროვებული აქვს ქვემოთ ჩამოთვლილი შეჯიბრებებიდან ერთ-ერთზე:

- საქართველოს ჩემპიონატი
- საქართველოს თასი
- სსცეფ-ის პრეზიდენტის მიერ აღიარებული საერთაშორისო რანგის შეჯიბრი;

ყველა კლასის და კატეგორიის ათლეტები ,რომლებიც მოხვდებიან ზემოთ ჩამოთვლილი შეჯიბრის მეორე ტურში - მიიღებენ დამატებით ერთ ქულას.

### მუხლი 5. კლასის მინიჭება

1. D და C კლასში გადასასვლელად - ასაკობრივ კატეგორიებში:

ყმაწვილები I - Juvenile I - (9 წლამდე)
ყმაწვილები II - Juvenile II - (10-11 წწ)
მოზარდები I - Junior I - (12-13 წწ)

ორივე პროგრამით, ქულათა დარიცხვა ხდება ცხრილი #5-ის შესაბამისად, როგორც წყვილში, ასევე ანსამბლში მონაწილე ათლეტზე;

2. A, S და M კლასის მინიჭება ხდება ცალ-ცალკე, ევროპული და ლათინო-ამერიკული ცეკვების პროგრამით.
3. უფროსების ასაკობრივ კატეგორიაში S კლასი ენიჭებათ:
  - ა) ათლეტს წყვილში, რომელმაც დაიკავა საპრიზო ადგილი (1-3) საქართველოს ჩემპიონატზე, ევროპულ, ლათინო-ამერიკულ ან ათი(10) ცეკვის პროგრამით;
  - ბ) ათლეტს წყვილში, რომელიც ცეკვავს ათი(10) ცეკვის პროგრამას და რომელმაც დააგროვა საკმარისი ქულები A-დან S კლასში გადასასვლელად, ორივე პროგრამაში ცალ-ცალკე, მაგრამ არ დაუკავებია საპრიზო ადგილი; მას ავტომატურად ენიჭება S კლასი - ორივე პროგრამაში.
  - გ) ათლეტს, რომელიც ცეკვავს ანსამბლში და დაიკავა საპრიზო ადგილი (1-3) საქართველოს ჩემპიონატზე ანსამბლებს შორის;
  - დ) S კლასის მინიჭება და მონაცემთა ბაზაში შეყვანა ხდება, არაუგვიანეს ორი(2) კვირისა შეჯიბრის ჩატარების დღიდან;
4. უფროსების ასაკობრივ კატეგორიაში M კლასის მინიჭება ხდება, მაშინ როდესაც:
  - ა) ათლეტი, რომელიც ცეკვავს წყვილში და იკავებს 1 საპრიზო ადგილს საქართველოს ჩემპიონატზე, ევროპული, ლათინო-ამერიკული ან ათი (10) ცეკვის პროგრამით და მას მანამდე მინიჭებული ჰქონდა S კლასი;
  - ბ) ათლეტი, რომელიც ცეკვავს ანსამბლის შემადგენლობაში და ანსამბლი იკავებს 1 საპრიზო ადგილს საქართველოს ჩემპიონატზე - ანსამბლებს შორის და მას მანამდე მინიჭებული ჰქონდა S კლასი;
5. ღია კლასის (ასაკის მიხედვით) ტურნირებზე ქულების დასარიცხად საჭირო წყვილთა რაოდენობა - ითვლება იმ კლასის წყვილთა რაოდენობით, რომელშიც გამოდიოდა წყვილი, დამატებული მასზე მაღალი კლასის წყვილთა რაოდენობა, რომლებსაც მოუგო ან გაიყო ადგილი, დამატებული იმ უფრო დაბალი კლასის წყვილთა რაოდენობა, რომლებმაც მოუგეს ამ წყვილს. იმ შემთხვევაში თუ წყვილი იკავებს ბოლო ადგილს, მას არ ერიცხება არც-ერთი ქულა;
6. შეჯიბრებებზე, რომლებიც ტარდება ცალკე ევროპული და ცალკე ლათინო-ამერიკული ცეკვების პროგრამებით, ათლეტებზე ქულების დარიცხვა ხდება ცხრილ #4 მოცემული სისტემით.
7. ათი ცეკვის პროგრამით ჩატარებულ შეჯიბრებებზე - იმ შემთხვევაში, როდესაც ათლეტ ვაჟს გააჩნია სხვადასხვა კლასი ევროპულ და ლათინო-ამერიკული ცეკვების პროგრამებში (მაგ. A – ევროპულში, B – ლათინო-ამერიკულში), წყვილი რეგისტრირდება და ტურნირზე დაიშვება უფრო დაბალი კლასით. მათ დაერიცხებათ ქულები მხოლოდ დაბალ კლასზე, იმ ნორმატივების გათვალისწინებით, რომელიც მოცემულია ცხრილ #4-ში.

**მუხლი 6. ქელების დაგრობევა და რეიტინგები**  
დასაგროვებელ ქულათა აუცილებელი რაოდენობა

**ცხრილი #4**

კლასი	აუცილებელ ქულათა საერთო რაოდენობა	მინიმალურ ქულათა რაოდენობა ერთ პროგრამაში
E დან D ში	16-26	5
D დან C ში	18-28	6
C დან B ში	20-30	7
B დან A ში	22-32	0
A დან S ში	24	0

- ერთი ასაკობრივი კატეგორიიდან მეორეში გადასვლის დროს და ახალი წყვილის შექმნის დროს, დაგროვილი ქულები შენარჩუნდება;
- იმ შემთხვევაში, როდესაც წყვილი აგროვებს მოცემული ასაკობრივი კატეგორიით გათვალისწინებულ ლიმიტზე უმაღლეს ქულებს, იგი ვალდებულია გააგრძელოს გამოსვლა თავის ასაკობრივ კატეგორიაში და თავის კლასში, მანამ სანამ არ გადავა მომდევნო ასაკობრივ კატეგორიაში. შემდეგ ასაკობრივ კატეგორიაში ასეთ წყვილს - ავტომატურად ენიჭება შემდეგი კლასი;
- სსცეფ-ს რეგიონალური ორგანიზაციების პრეზიდენტები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ განაცხადონ ათლეტთა კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ (განაცხადი #9), როგორც კი ის დააგროვებს შესაბამის ქულებს;
- ასაკობრივ კატეგორიებში: იუნიორი-2; ახალგაზრდები; უფროსები; სენიორები - ნებადართულია ქულათა დაგროვება და გადასვლა E-დან D, D-დან C, C-დან B კლასიდან-კლასში, ცალ-ცალკე ევროპულ და ლათინო-ამერიკულ პროგრამებში. ცხრილში #5 მოცემულია ამ შესაბამის შემთხვევაში დასაგროვებელი ქულების აუცილებელი რაოდენობა

**ცხრილი #5**

გადასვლა	აუცილებელი ქულები
E დან D ში	8-13
D დან C ში	9-14
C დან B ში	10-20

სოლო (ინდივიდუალური) შემსრულებლებისთვის კი შემდეგი ქულების რაოდენობა არის საჭირო კლასიდან - კლასში გადასასვლელად (იხ. ცხრილი #6):

**ცხრილი #6**

გადასვლა	აუცილებელი ქულები
E დან D ში	40
D დან C ში	80
C დან B ში	100
B დან A ში	200

შენიშვნა: სოლო შემსრულებლის B კლასიდან - A კლასში გადასვლის დროს, თუკი ის გადადის საწყვილო ან Pro/Am-ის პროგრამაზე, მაშინ A კლასში გადასასვლელად საკმარისია - 150 ქულა ;

**რეიტინგის ცხრილი - სოლო (Solo) შემსრულებლებისათვის**

სოლო შემსრულებლების სიძლიერის გამოვლენისათვის, მათი შჯიბრებებში უფრო აქტიური ჩაბმისთვის და შედეგების აღრიცხვის მიზნით სსცეფ-ს სპორტ-დირექტორი აწარმოებს სოლო შემსრულებელთა ყოველთვიურ რეიტინგს და განათავსებს მას ფედერაციის ვებ-გვერდზე;

შენიშვნა: ცეკვების რაოდენობა მრავლდება ქულების რაოდენობაზე

**ცხრილი #7**

ადგილები	სოლო შემსრულებელთა რაოდენობა			
	6-მდე	7-12-მდე	13-24-მდე	25-ზე მეტი
1	3	4	5	6
2	2	3	4	5
3	1	2	3	5
4	1	1	3	4
5	0.5	1	2	4
6	0.5	1	2	4
7		1	1	3
8		0.5	1	3
9		0.5	1	2
10		0.5	1	1
11 -ზევით		0.5	0.5	0.5

## რეიტინგის ცხრილი - მოცეკვავე წყვილებისთვის

წყვილების სიძლიერის გამოვლენისათვის, მათი შეჯიბრებებში უფრო აქტიური ჩაბმისთვის და შედეგების აღრიცხვის მიზნით სსცეფ-ს სპორტ დირექტორი აწარმოებს წყვილების ყოველთვიურ რეიტინგს და განათავსებს მას ფედერაციის ვებ-გვერდზე;

შენიშვნა: აღნიშნულ ქულებზე ხდება პროცენტული დარიცხვა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებების მიხედვით, ქვემოთ მოცემული სქემით:

- |    |                                   |       |
|----|-----------------------------------|-------|
| 1. | “A” კატეგორიის შეჯიბრი            | 300%  |
| 2. | “B” კატეგორიის შეჯიბრი            | 200 % |
| 3. | “C” კატეგორიის შეჯიბრი            | 100 % |
| 4. | “D” კატეგორიის შეჯიბრი            | 50%   |
| 5. | “E” კატეგორიის შეჯიბრი            | 0 %   |
| 6. | მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები   | 500%  |
| 7. | გასვლითი საერთაშორისო შეჯიბრებები | 400%  |

### ცხრილი #8

კატეგორიები  ადგილები	2 ცეკვის შემსრუ- ლებლები	4 ცეკვის შემსრუ- ლებლები	6 ცეკვის შემსრუ- ლებლები	8 ცეკვის შემსრუ- ლებლები	Jv & Jn		Youth & Adults	
					5 ცეკვა	10 ცეკვა	5 ცეკვა	10 ცეკვა
1	4	8	12	15	25	30	45	60
2	3	7	10	13	21	26	40	52
3	2.5	4	8	12	18	24	35	48
4	2	3	7	10	14	18	30	36
5	1.5	2	4	8	12	16	25	32
6	1	1.5	2	7	9	14	20	28
7-12	0.5	0.5	0.5	4	6	8	13	16
13-20	0.5	0.5	0.5	2	3	4	6	8
21-32	0.5	0.5	0.5	1	1	2	3	4
33-48	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	1	2	3
49-96	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	1	2
97-192	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	1

## **მუხლი 7. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე დებულება დამტკიცებულია სსცეფ-ს პრეზიდიუმის მიერ და ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღეს;
2. სსცეფ-ს გენერალურ მდივანს აქვს ვალდებულება ყველა წევრს მიაწოდოს აღნიშნული - (პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული) დებულება (ნებისმიერი სახის ელექტრონული საშუალებით) გასაცნობად;
3. წინამდებარე დებულების ტექსტის გამნარტება - შედის მხოლოდ ფედერაციის პრეზიდიუმის დისკრეციაში;
4. წინამდებარე დებულების დარღვევის თავიდან ასაცილებლად - სსცეფ-ს პრეზიდიუმი ათლეტის, მწვრთნელების ან კლუბის ხელმძღვანელების წინააღმდეგ - გამოიყენებს ყველა სახის დიციპლინარულ სასჯელს და უზრუნველყოფს ამ დებულების ყველა მუხლის სრულყოფილად და დაცვას;

სსცეფ-ს გამგეობის (პრეზიდიუმის) სახელით,

**გიორგი გაჩეჩილაძე**

ფედერაციის პრეზიდენტი

ქ. თბილისი  
05.04.2014